

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღება განპირობებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანით, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას ე. წ. Trade In-ის ფორმის გამოყენების სამართლებრივ რეგულირებას. აღნიშნული სავაჭრო პრინციპი გულისხმობს მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ისეთ ურთიერთობას, როდესაც მყიდველის მიერ ახალი ნივთის შეძენისას ნივთის ღირებულების ნაწილის დაფარვა შესაძლებელია იგივე ტიპის ძველი ნივთის გამყიდველისათვის უკან დაბრუნებით. ეს პრინციპი ასევე გულისხმობს ნაყიდი ნივთის გაუმჯობესებას და გამოიყენება როგორც საქონლის ასევე მომსახურების შესყიდვისას. სავაჭრო ურთიერთობის ასეთი ფორმა ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში და მისი გამოყენება მომხმარებელს აძლევს ხელსაყრელ საშუალებას საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვნად ნაკლები დანახარჯებით და ეფექტურად გაუმჯობესოს ან განაახლოს მის საკუთრებაში მყოფი ესა თუ ის ქონება და მუდმივად ისარგებლოს თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით. იმისათვის, რომ მოხდეს მიმწოდებლისათვის სახელმწიფო შესყიდვის გზით მიღებული ობიექტის უკან დაბრუნება (გასხვისება) ახალი ობიექტის ღირებულებაში ჩასათვლელად, აუცილებელია „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ქონების გასხვისების აღნიშნული გამონაკლისი ფორმა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიღების მიზანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა სრულყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ისეთი იურიდიული მექანიზმის შემოღება, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციას სახელმწიფო ქონების პრივატიზების ან სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობებისა და პროცედურების დაცვის გარეშე უკან დაუბრუნოს მიმწოდებელს

შესყიდული და უკვე გამოყენებული ნივთი მის სანაცვლოდ ახალი ან გაუმჯობესებული ნივთის მიღებისას ახალი ნივთის ან გაუმჯობესების ღირებულების ნაწილის დასაფარად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებით დგინდება გამონაკლისი, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება აღარ გავრცელდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების გასხვისების იმ შემთხვევაზე, როდესაც ხდება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად შეძენილი სახელმწიფო ქონების მიმწოდებლისათვის უკან დაბრუნება მის სანაცვლოდ ახალი ან გაუმჯობესებული ნივთის მიღებისას ახალი ნივთის ან გაუმჯობესების ღირებულების ნაწილის დასაფარად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს არანაირ გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი ქმნის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას,

განსაკუთრებით ისეთი საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკასთან ან ტექნოლოგიებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან რაიმე სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი
ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.